ხელშეკრულება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს ,,Sayali''-ს შორის 2011 წლის 26 დეკემბერს დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველო, ქ. თბილისი **05 მარტი, 2014 წელი**

ერთი მხრივ, **სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო** (შემდგომში ,,გამყიდველი'') წარმოდგენილი სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტის სოფიკო მეშველიშვილის (პირადი №01023007152) სახით, მოქმედი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ, 2014 წლის 5 მარტს გაცემული №4/7745 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

და მეორე მხრივ, შპს ,,Sayali'' (ს.კ. 406057804) (შემდგომში -,,მყიდველი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის მამედ სულეიმანოვის სახით, (პ.ნ. 01008004191)

ერთობლივად წოდებულნი როგორც ,,მხარეები'', ხოლო ცალ-ცალკე როგორც ,,მხარე''

ვხელმძღვანელობთ რა, ,,სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს ,,Sayali''-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ'' საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 დეკემბრის N15/12/06 განკარგულებით განსაზღვრულისაგან განსხვავებული პირობების დადგენისა და შპს ,,Sayali''-ს მიმართ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე'' საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის N1959 განკარგულებითა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს ,,Sayali''-ს შორის 2011 წლის 26 დეკემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების (შემდეგში - ნასყიდობის ხელშეკრულება") საფუძველზე, ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1

1.1 „ნასყიდობის ხელშეკრულებაში" შეტანილ იქნეს ცვლილებები:
ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3.1.2. ნასყიდობის ხელშეკრულების 1.1. მუხლის თანახმად, გადაცემული უძრავი ქონების ბაზაზე 2015 წლის 1 ოქტომბრამდე უზრუნველყოს მრავალპროფილიანი სამედიცინო დაწესებულების ამოქმედება (გადაცემული ქონების რეკონსტრუქცია, რემონტი, ასევე სამედიცინო დანადგარებითა და ინვენტარით ,,სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონალური დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის N385 დადგენილების შესაბამისად აღჭურვა);

1.2. ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3.1.3. უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების 1.1. მუხლის თანახმად, გადაცემული ქონების ბაზაზე 2015 წლის 1 ოქტომბრამდე კომერციული ან/და საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა-განვითარება.''

1.3.) ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.4. მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3.1.4. ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.2 და 3.1.3. მუხლებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების მიზნით, მყიდველი ვალდებულია 2015 წლის 1 ოქტომბრამდე განახორციელოს არანაკლებ 10 620 500 (ათი მილიონ ექვსასოცი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ინვესტიცია შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

ა) 2014 წლის 1 თებერვლამდე 1 324 200 (ერთი მილიონ სამასოცდაოთხი ათას ორასი) აშშ დოლარი;

ბ) 2014 წლის 1 აგვისტომდე 1 837 300 (ერთი მილიონ რვაასოცდაჩვიდმეტი ათას სამასი) აშშ დოლარი;

გ) 2015 წლის 1 თებერვლამდე 2 809 000 (ორი მილიონ რვაასცხრა ათასი) აშშ დალარი;

დ) 2015 წლის 1 ოქტომბრამდე 4 650 000 (ოთხი მილიონ ექვსასორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარი.''

1.4. ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.5. მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3.1.5. ,,მყიდველი'' ვალდებულია ,,ნასყიდობის ხელშეკრულების'' 3.1.2, 3.1.3 და 3.1.4. მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დადასტურების მიზნით, „გამყიდველს" წარუდგინოს აუდიტორული/საექსპერტო დასკვნა, რომელიც მომზადებული უნდა იყოს "საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის

დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით განსაზღვრული ერთ/ერთი საექსპერტო ან/და აუდიტორული კომპანიის მიერ. ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.2 და 3.1.3. მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით, მყიდველის მიერ აუდიტორული/საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა უნდა განხორციელდეს თითოეული ვალდებულების შესრულების ვადის დადგომიდან 30 კალენდარულ დღეში, ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.4 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დადასტურების შემთხვევაში, პირველი და მეორე ეტაპის შემთხვევაში ერთად, არაუგვიანეს ერთი თვისა მეორე ეტაპის დასრულებიდან, ხოლო მესამე და მეოთხე ეტაპით გათვალისწინებული ვალდებულებების შემთხვევაში ყოველი ეტაპის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა".

მუხლი 2.

2.1. ,,მყიდველმა'' ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.2, 3.1.3. და 3.1.4. მუხლებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამყიდველს წარმოუდგინა 2016 წლის 1 თებერვლამდე მოქმედი 531 025 (ხუთას ოცდათერთმეტი ათას ოცდახუთი) აშშ დოლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია. (საბანკო გარანტიის რეკვიზიტები: NLG-66/11; დანართი N1, დანართი N2)

2.2. ნასყიდობის ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში 2.1. მუხლით გათვალისწინებული საბანკო გარანტია გამყიდველის მოთხოვნისთანავე სრულად ჩაირიცხება შესაბამის ბიუჯეტში.

მუხლი 3.

3.1. მხარეები ადასტურებენ, რომ ,,სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს ,,Sayali''-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ'' საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 დეკემბრის N15/12/06 განკარგულებით განსაზღვრულისაგან განსხვავებული პირობების დადგენისა და შპს ,,Sayali''-ს მიმართ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე'' საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის განკარგულების საფუძველზე დამტკიცებული ,,სააგენტოს'' გადაწყვეტილება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს ,,SAYALI''-ს შორის 2011 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე განკარგულების შესაბამისად ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან მყიდველის გათავისუფლების თაობაზე დამტკიცებულ იქნა იმ პირობით, რომ მყიდველი ჯეროვნად შეასრულებს „ნასყიდობის ხელშეკრულების" 3.1.2, 3.1.3 და 3.1.4.

მუხლებით გათვალისწინებულ საპრივატიზებო პირობებს. შესაბამისად, „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 3.1.2, 3.1.3 და 3.1.4. მუხლებით გათვალისწინებულ საპრივატიზებო პირობების დარღვევის შემთხვევაში „მყიდველი“ აგრეთვე ვალდებულია გადაიხადოს ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლო.

მუხლი 4.

4.1. ხელშეკრულებაში შესული ცვლილებები არ ცვლის ხელშეკრულების სხვა მუხლების შინაარსს. ყველა სხვა მუხლებით დადგენილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები რჩება უცვლელი.
4.2. ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებები მიიჩნევა ხელშეკრულების შინაარსის ნაწილად და მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების განმარტების დროს.
4.3. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერისა და სსიპ ,,საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში" (*შემდგომში* ,,საჯარო რეესტრი") რეგისტრაციის მომენტიდან.
4.4. მყიდველი ვალდებულია დაფაროს წინამდებარე ხელშეკრულების ,,საჯარო რეესტრში'' რეგისტრაციის ხარჯი.
4.5. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა მხარეებს და საჯარო რეესტრს.

გამყიდველი
სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
წარმომადგენელი:
სოფიკო მეშველიშვილი
სოფიკო მეშველიშვილი

მყიდველი
,,Sayali"
წარმომადგენელი: მამედ სულეიმანოვი

მამედ სულეიმანოვი